BINE AȚI VENIT DPAGI OASPEȚI ROMÎNI

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო რუმინელო სტუმრებო!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

№ 178 (12092)
კვირა, 6 აგვისტო 1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ცნობა

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა პირველი მდივნების თათბირის შესახებ

8-5 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა პირველი მდივნების თათბირი იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის მზადებასთან.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. თათბირს აგრეთვე დაესწრნენ აზიის სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების წარმომადგენლები.

თათბირის მონაწილეებმა მოაწყეს აზრთა ფართო გაზიარება საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის მზადებასთან.

თათბირის ყველა მონაწილემ გამოთქვა ერთიანი აზრი, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხი დიდი ხანია მომწიფდა და მისი გადაჭრის გადადება აღარ შეიძლება. ხაზგასმულ იქნა, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების განუსაზღვრელი ვადით გადაწევა იმას ნიშნავს, რომ შეგნებულად შეუწყონ ხელი ახალი ომის საფრთხის გაძლიერებას ევროპაში, და არა მარტო ევროპაში.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმებული მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევას ორ გერმანულ სახელმწიფოსთან. გერმანიის საზავო ხელშეკრულება მოწოდებულია საბოლოოდ განსაზღვროს მდგომარეობა, რომელიც ფაქტიურად შეიქმნა ომის შემდეგ ევროპაში, იურიდიულად გააფორმოს გერმანიის ახლანდელი საზღვრების ურყეობა, მოახდინოს დასავლეთ ბერლინის ვითარების ნორმალიზება, შექმნას უკეთესი წანამძღვრები ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისა და თანამშრომლობისათვის, უზრუნველყოს როგორც თვითონ გერმანიის, ისე ევროპის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარების პირობები. თათბირის მონაწილენი იმას ემყარებიან, რომ ასეთი მშვიდობიანი მოწესრიგება ზიანს არ მიაყენებს არც ერთ ქვეყანას და შეესაბამება ყველას ინტერესებს, ვინც ნამდვილად ესწრაფვის საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადასტურეს, რომ თუ საზავო ხელშეკრულება დაიდო ორ გერმანულ სახელმწიფოსთან, დასავლეთი ბერლინი, როგორც თავისუფალი დემილიტარიზებული ქალაქი შეძლებს დაუბრკოლებლად განახორციელოს კავშირი გარე სამყაროსთან. არც ერთი სოციალისტური ქვეყანა არ ცდილობს შეცვალოს დასავლეთ ბერლინში არსებული საზოგადოებრივი წყობილება. დასავლეთ ბერლინის საქმეებში მტკიცე ჩაურევლობის და იქ შესვლის უზრუნველსაყოფად საზავო ხელშეკრულება გაითვალისწინებს საიმედო და ეფექტიან გარანტიებს.

თათბირმა გამოთქვა ყველა მისი მონაწილის ურყევი გადაწყვეტილება — წელსვე მიაღწიონ გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების განხორციელებას. ამასთან ერთხმად გადაწყდა, რომ, თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა კვლავ აარიდეს თავი გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას, დაინტერესებული სახელმწიფოები იძულებული გახდებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადონ საზავო ხელშეკრულება, რომელიც აღმოფხვრის წარსული ომის შედეგებს და უზრუნველყოფს ევროპის ამ ნაწილში მდგომარეობის სტაბილიზაციის პირობებს. საზავო ხელშეკრულება გადაჭრით დაიცავს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, მათ შორის მის უფლებებს სახმელეთო, წყლისა და საჰაერო სივრცის მიმართ.

აღნიშნული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე მოწესრიგდება დასავლეთ ბერლინის მდგომარეობაც. იგი, როგორც თავისუფალი ქალაქი უნდა ცხოვრობდეს თავისთავადი დამოუკიდებელი ცხოვრების და იმ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც დაიდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, უნდა სარგებლობდეს გარესამყაროსთან დაუბრკოლებელი კავშირით.

თათბირმა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს დაავალა მოამზადონ ყველა საჭირო საგარეოპოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას და მის დადგენილებათა შესრულებას. მათ შორის იმ დადგენილებებისა, რომლებიც ეხება დასავლეთ ბერლინს, როგორც თავისუფალ ქალაქს.

თათბირმა სრული ერთიანობის ატმოსფეროში ჩაიარა და ცხადყო სოციალისტური ქვეყნების ურყევი გადაწყვეტილება — აღმოფხვრან მეორე მსოფლიო ომის ნაშთები.

რუმინეთის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 4 აგვისტო. (საკადესი). საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მთელი დედამიწის ადამიანთა ყურადღებას იპყრობს როგორც მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკური ცენტრი. მოსკოვში ჩამოსულთ ხიბლავს ახალი საცხოვრებელი კვარტალების არქიტექტურული ანსამბლები, ფართო პროსპექტები, მოედნები, პარკები და ყვავილნარები.

კვლავ დიდი ინტერესით ეცნობა საბჭოთა დედაქალაქის ცხოვრებას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი მეთაურობს.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ახალი საბინაო მშენებლობის რაიონები. ხორშევო-მნევნიკში, — დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე წარმტაცი ადგილის — სერებრიანი ბორის მახლობლად, ახლა ბევრი ახალი კეთილმოწყობილი სახლი შენდება.

რუმინელი მეგობრები იყვნენ აგრეთვე პუსკინის ქუჩების რაიონში და ახალ ჩერიომუშკში, ხოლო შემდეგ გაეცნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს შენობათა ახალი კომპლექსის მშენებლობას. რუმინელმა სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მათ ქვეყანაში აგრეთვე უდიდესი ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი

სადოკ მოკადემი

5 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი სადოკ მოკადემი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

ს. მოკადემმა ჩამოაყალიბა ტუნისის მთავრობის პოზიცია ბიზერტაში ფრანგ კოლონიზატორთა აგრესიის გამო და ტუნისის ხალხისა და მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც გაუწია ტუნისს მის ბრძოლაში აგრესიის წინააღმდეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა კვლავ დადასტურა, რომ საბჭოთა ადამიანების სიმპათია და მხარდაჭერა იყო და რჩება ტუნისის ხალხის მხარეზე, და რწმენა გამოთქვა, რომ ტუნისელი ხალხი მოიპოვებს გამარჯვებას თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ს. მოკადემმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ტუნისის პრეზიდენტის ჰ. ბურგიბას პირადი წერილი, რომლითაც თხოვს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ეწვიოს ტუნისს მისთვის ხელსაყრელ დროს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობით მიიღო ეს მიწვევა.

ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს ახლდნენ ბატონი ბელკოჯა და ტუნისის ელჩი სსრ კავშირში ბატონი ა. მესტირი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის პირველი განყოფილების გამგე ა. ა. შვედოვი.

ა. ფანფანი მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი, 5 აგვისტო. (საკადესი). ღღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამინტორე ფანფანი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ ოფიციალურ ვიზიტად.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მოცთული იყო იტალიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ამინტორე ფანფანი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე მოსკოვის შრომელებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამინტორე ფანფანიმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

კომუნისტი

№ 178 (12092) კვირა, 6 აგვისტო 1961 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი

(საქართველოში ჩამოსვლის გამო)

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. რუმინეთის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეა.

ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი დაიბადა 1901 წლის 8 ნოემბერს ქალაქ ბირლადში ღარიბ მუშის ოჯახში. უკვე 11 წლიდან დაიწყო მისი შრომითი ცხოვრება. ჭაბუკობიდანვე გ. გეორგიუ-დეჟი აქტიურად მონაწილეობს რევოლუციურ მოძრაობაში. 1930 წელს იგი შევიდა რუმინეთის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მაშინ ღრმა იატაკქვეშეთში მუშაობდა, და მალე პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. 1932 წლის მარტში ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი არჩეულ იქნა რკინიგზელთა მოკმედების ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1933 წელს იგი დააპატიმრეს, როგორც რუმინეთის ისტორიაში რკინიგზელთა უდიდესი გაფიცვის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

1933 წლის ზაფხულში სამხედრო ტრიბუნალმა მას 12 წლის საკატორღო მუშაობა მიუსაჯა, მაგრამ, მიუხედავად სასტრობილის მკაცრი რეჟიმისა, იგი დაუცხრომლად მუშაობდა პარტიული კადრების მომზადებისათვის, აღზრდისა და რევოლუციური გამოწრთობისათვის, არ წყვეტდა კავშირს პარტიულ ორგანიზაციებთან.

1936 წელს იგი დაუხსრეს ბლადოკოპტაციის წესით აირჩიეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. საპყრობილიდან ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი ხელმძღვანელობდა მზადებას ფაშისტური რეჟიმის დასამხობად. 1943 წელს მისი ხელმძღვანელობით შეიმუშავეს შეიარაღებული აჯანყების სამხედრო-პოლიტიკური გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო-ფაშისტური დიქტატურის დამხობას. 1944 წლის აგვისტოში პარტიამ მოაწყო ამხ. გ. გეორგიუ-დეჟის გაქცევა საკონცენტრაციო ბანაკიდან. გადამწყვეტ გამარჯვებათა პირობებში, რაც საბჭოთა არმიამ—განმათავისუფლებელმა არმიამ მოიპოვა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუმინეთის სახალხო ანტიფაშისტურმა ძალებმა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს შეიარაღებული აჯანყება და დაამხეს ანტონესკუს მთავრობა. რუმინეთის არმიამ იარაღი შეაბრუნა ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ. ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი ხელმძღვანელობდა პარტიისა და მშრომელთა ბრძოლას რეაქციის ძალების წინააღმდეგ, რუმინეთის დემოკრატიისათვის, მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცებისათვის, რუმინეთში სახალხოდემოკრატიული წყობილების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

1944 წლის ნოემბერში რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანა. მან გზათა მინისტრის პოსტი დაიკავა.

1945 წლის 6 მარტს იგი შევიდა პირველ დემოკრატიულ მთავრობაში, რომელმაც კომუნისტების ხელმძღვანელობით განახორციელა აგრარული რეფორმა, რაც მიზნად ისახავდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას, და მთელი რიგი სხვა დემოკრატიული გარდაქმნები.

1945 წლის ოქტომბერში ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი არჩეულ იქნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. 1946 წლიდან, მას შემდეგ, რაც არჩევნებში გაიმარჯვა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით შექმნილმა დემოკრატიული ძალების ბლოკმა, იგი ხელმძღვანელობდა ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს, რომელიც შემდგომ რეორგანიზებულ იქნა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროდ.

პარიზის 1946-1947 წლების საზავო კონფერენციის პერიოდში ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი ხელმძღვანელობდა რუმინეთის დელეგაციის მუშაობას.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1947 წლის 30 დეკემბერს რუმინელმა ხალხმა მონარქიული წყობილება მოსპო და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. 1948 წლის თებერვალში რუმინეთის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანებელ ყრილობაზე ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი აირჩიეს ახლად შექმნილი რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. იმავე წელს მარტში იგი დანიშნეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და ამავე დროს უმაღლესი ეკონომიური საბჭოსა და აღდგენისა და სტაბილიზაციის კომიტეტის თავმჯდომარედ. რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი მეთაურობს, რუმინეთში ხორციელდება ბრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია, ნოშავდება და წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების 1949 და 1950 წლების პირველი სახელმწიფო გეგმები, პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმები.

პირველი ხუთწლეულის წლებში, 1952-1955 წლების პერიოდში, ამხ. გ. გეორგიუ-დეჟს ეკავა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, ხოლო 1955 წლის ოქტომბერში აირჩიეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

რუმინეთის მუშათა პარტიის II (1955 წლის დეკემბერი) და III (1960 წლის ივნისი) ყრილობებზე ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი კვლავ აირჩიეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად და ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. იგი ყველა მოწვევის დიდი ეროვნული კრების დეპუტატია.

1960 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი მეთაურობდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი მეთაურობდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე გადაჭრით დაუჭერა მხარი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ შეტანილ წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლის შესახებ. თანმიმდევრულად ახორციელებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს და ესწრაფოდა რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რუმინეთის დელეგაციამ სესიის დღის წესრიგში შეიტანა საკითხები რეგიონალურ ღონისძიებათა შესახებ, რათა გაუმჯობესდეს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობა, და მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და ხალხთა ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელ მსოფლიოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული ხასიათი.

1961 წლის მარტში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის IV მოწვევის დიდი ეროვნული კრების პირველ სესიაზე ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი არჩეულ იქნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

თავის სტატიებსა და სიტყვებში ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი ანალიზს უკეთებს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რუმინეთის პირობებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს გამოყენებასთან, სოციალიზმის აშენებისათვის, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, სოციალისტური ბანაკისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ურღვევი ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

ამხანაგი გ. გეორგიუ-დეჟი არაერთხელ ყოფილა სსრ კავშირში. იგი მეთაურობდა რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX, XX და XXI ყრილობებზე. აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე 1960 წლის ნოემბერში.

მრავალი წლის ნაყოფიერი რევოლუციური მოღვაწეობისათვის, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ამხ. გ. გეორგიუ-დეჟს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი აგრეთვე დაჯილდოებულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მრავალი ორდენით.

საბჭოთა კავშირის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა ხალხის გულწრფელი და ახლო მეგობარი ამხანაგი გეორგე გეორგიუ-დეჟი. და სულით და გულით უსურვებენ მოძმე რუმინელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების დიდებული პროგრამის განხორციელებაში, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. ბაქრაძეს გიორგი ილიას-ძეს — ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსის მოადგილეს

2. გოგოლაძეს ვარდენ სერგის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს

3. გოვაკოვს ნიკოლოზ პავლეს-ძეს — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სავაგონო-სამგზავრო საამქროს უფროსის მოადგილეს

4. დავითაშვილს ვიქტორ ზაქარიას-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სპეციალიზაციის მოძრაობის სამსახურის განყოფილების უფროსს

5. თაფლაძეს ვლადიმერ პავლეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის გზის რევიზორის თანაშემწეს

6. კიკნაძეს გრიგოლ მინაგოს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილეს

7. მანჯგალაძეს ვლადიმერ ბესარიონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის ტექნიკური განყოფილების უფროსს

8. ნატროშვილს შალვა ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო სამუშაოების განყოფილების უფროსის მოადგილეს

9. სანიკიძეს დავით ვლადიმერის-ძეს — სადგურ ნავთლუღის დისტანციის უფროსის მოადგილეს ტექნიკურ ნაწილში

10. ჭიპაშვილს ალექსანდრე ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსს

11. ჭოლაძეს ვლადიმერ პავლეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საგეგმო-ტექნიკურ-ეკონომიური განყოფილების უფროსს

12. ხარაძეს დავით ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილების უფროსს

13. ხარებავას ირემია ფილიპეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო სამსახურის უფროს საგზაო ინსპექტორს

14. ჯიქიძეს გრიგოლ დიმიტრის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის უფროს საგზაო ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1961 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომლთა სახალხო მეურნეობაში დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა:

1. ტატაროვს ლაზარე ელისეს-ძეს — თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის ყოფილ ინჟინერს, პენსიონერს

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:

1. ბეგალიშვილს გიორგი ივანეს-ძეს — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამონტაჟო საამქროს ყოფილ უფროსს, პენსიონერს

2. ბერეზოვსკის ალექსანდრე ვასილის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სავაგონო მეურნეობის განყოფილების უფროს ინჟინერს

3. ბონდარევს იაკობ ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის უფროს ინჟინერს

4. გეჯაძეს გიორგი ვასილის-ძეს — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს

5. ერშოვს მიხეილ ივანეს-ძეს — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საშემდღო საამქროს უფროსს

6. კოკაჩიშვილს იაკობ გრიგოლის-ძეს — სამტრედიის სავაგონო დეპოს დამამზადებელი საამქროს ოსტატს

7. ლაზარენკოს თევდორე დანიელის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამუშაოს დისტანციის უფროს ინჟინერს

8. მატინიანს გაიკ სოლომონის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების ინჟინერს

9. მაღალაშვილს ვახტანგ იასონის-ძეს — თბილისის საელექტრო დეპოს მთავარ ინჟინერს

10. ნათაძეს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის საელექტრო დეპოს ბრიგადირს

11. ტლაშაძეს გიორგი ესტატეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის დისტანციის ზეინკალს

12. ცხვარაძეს ნიკოლოზ ეპიფანეს-ძეს — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს

13. ჭუმბურიძეს ილია დავითის-ძეს — საქართველოს მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1961 წ. 5 აგვისტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი — ჩვენი ეპოქის დიდი პოლიტიკური და თეორიული მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტი უცხოელეს გამოხმაურებას პოულობს საბჭოთა ადამიანების გულში, მას ერთსულოვნად იწონებენ. უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ეცნობიან მის ღრმა შინაარსს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები აჩაღებენ მუშაობას სკკპ პროგრამის პროექტის ფართო პროპაგანდისა და შესწავლისათვის.

5 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლების, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაკების თათბირი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის ახსნა-განმარტების საკითხს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. ა. გოგიჩაიშვილმა თათბირის მონაწილეთ გააცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ პროგრამის პროექტის პროპაგანდის ღონისძიებათა შესახებ.

აღგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის სკკპ პროგრამის პროექტის ღრმა ახსნა-განმარტებაში დახმარების გასაწევად შეიქმნა 20 პროპაგანდისტული ჯგუფი. მათ შემადგენლობაში არიან მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტები და ლექტორები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და მეცნიერი მუშაკები, რომლებიც მიდიან რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. (საკადესი).

შრომა აშენებს კომუნიზმს!

შვიდღლიანი ფოლადის ლიანდაგებზე

მიმდინარე წელს რკინიგზელის საკავშირო დღე აღინიშნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში.

რკინიგზის ტრანსპორტის როლი განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია ჩვენს სახელმწიფოში — მისი ხმელეთის უდიდესი სივრცეებით, უაღრესად მრავალფეროვანი ეკონომიური რაიონებით, ნედლეულის უმდიდრესი რესურსებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია, რომ სახალხო მეურნეობის ზრდისათვის საჭირო იქნება ტრანსპორტის ყველა სახეობათა დაჩქარებული განვითარება.

ეს რკინიგზელებს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, დიდ ამოცანებს უსახავს.

სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ფართო ფრონტით წარმოებს მუშაობა ტრანსპორტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. რკინიგზების ელექტროფიკაციის გენერალური გეგმა წარმატებით ხორციელდება. ახლა ელექტრორკინიგზების სიგრძითა და ელექტროფიკაციის ტემპებით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

ამასთან ერთად დიდი ცვლილებები ხდება რკინიგზების მეურნეობის ყველა სხვა დარგშიც.

შვიდწლედის პირველ წლებში გაიზარდა რკინიგზებზე ავტომატურ მოწყობილობათა — ავტობლოკირების, ავტოსტოპების, ელექტრული და დისპეტჩერული ცენტრალიზაციის, რადიორელეური კავშირის, ტელევიზიის დანერგვის ტემპები.

მაგრამ ეს და მისი მსგავსი ტექნიკა ტრანსპორტზე პროგრესის ზღვარი როდია. რკინიგზელ მეცნიერთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, წარმოების ნოვატორთა მაძიებელი აზრი ეძებს და პოულობს რკინიგზების სრულყოფის ახალ გზებს.

უკვე გამოცდილია მსოფლიოში პირველი ნიმუში „ავტომეშანქანისა — ე. ი. ელექტრომატარებელზე დადგმული გამომთვლელ-ამომხსნელი ელექტრონული მანქანისა, რომელიც თვითონ მართავს მოძრაობას. წარმოებს აკრეთვე მატარებელთა მოძრაობის დისპეტჩერული ხელმძღვანელობის ავტომატიზაციაზე — „ავტოდისპეტჩერზე“ გადასვლის ცდები.

განუწყვეტლივ უმჯობესდება მოძრავი შემადგენლობა. ახლა ვაგონთა პარკის საერთო ტვირთამწეობაში უკვე 90 პროცენტი უჭირავს ოთხღერძიან ვაგონებს. იზრდება სულ უფრო მეტად გაუჯობესებული სამგზავრო ვაგონების რიცხვი.

ლოკომოტივმშენებლებმა აითვისეს მძლავრი ჩქაროსნული ელმავლებისა და თბომავლების ბევრი მოდელი. ამას წინათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნიდან ხაზზე გავიდა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი პირველი მძლავრი რვაღერძიანი ელმავალი ტ-8. ახლა გამოსაშვებად მზადდება ცვლად დენზე მომუშავე ახალი ოთხღერძიანი სამგზავრო ელმავალი ტ-40, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე საათში 160 კილომეტრი იქნება.

ჩვენს რკინიგზელებს ახარებს რესპუბლიკის ესოდენ მაღალი შემოქმედებითი წარმატებები ამ მოწინავე საწარმოსი, რომელიც გაიზარდა რკინიგზის ტრანსპორტის ყოფილი ლოკომოტივსარემონტო ქარხნის ბაზაზე.

დ. მამაცაშვილი,
ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

✦

ჩვენი ამიერკავკასიის რკინიგზა ერთ-ერთი ტექნიკურად აღჭურვილი გზაა რკინიგზათა ქსელში და ეს დიდ როლს ასრულებს მყარი საექსპლოატაციო მუშაობის და ტვირთზიდვის გეგმის სისტემატურად გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფაში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ტვირთბრუნვის 80 პროცენტზე მეტს ჩვენში ელმავლები ასრულებენ, ხოლო ელექტროფიცირებული ხაზების სიგრძით, განსაკუთრებით საქართველოში, ჩვენს გზას ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ადგილი უჭირავს.

ნახევარ წელიწადში დატვირთვის გეგმა გზის კოლექტივმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა.

გზის მუშაობის აღმავლობასა და გაუმჯობესებაში გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ მოწინავეებსა და ნოვატორებს.

42 საწარმო, 1720 ბრიგადა, საამქრო ცვლა და უბანი, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმული 8500 კაცი მონაწილეობს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების პატრიოტულ მოძრაობაში, მათი დიდი უმრავლესობა წარმატებით ასრულებს თავის ვალდებულებებს — იმუშაონ და იცხოვრონ კომუნისტურად, ხოლო 550 კოლექტივმა და 900-ზე მეტმა შეჯიბრებაში ცალკე ჩაბმულმა უკვე მოიპოვა ეს მაღალი წოდება.

ჩვენი მოწინავეების რაზმს სათავეში უდგანან მძიმეწონასანი მემანქანეები და ისინი, რომლებიც ხელს უწყობენ მათს კეთილშობილურ მისწრაფებას მაქსიმალურად გამოიყენონ სატრანსპორტო ტექნიკის ნაყოფიერება.

გასულ წელს მატარებლების 60 პროცენტზე მეტი გაიგზავნა გადიდებული წონით. ამ მატარებლებით ნორმის ზევით გადაიზიდა 9 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადაყვანილია 15 ათასზე მეტი მძიმე წონის მატარებელი და ნორმის ზევით გადაზიდულია 4,6 მილიონი ტონა.

ქუთაისის დეპოს მემანქანეებ ვ. ციცხვიშვილმა, სამტრედიის დეპოს მემანქანეებ მ. პატარაიამ, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეებ გ. ჩიტიაშვილმა, ხაშურის დეპოს მემანქანებ რ. საყვარელიძემ, სოხუმის დეპოს მემანქანემ დ. გეგეჭკორმ და ბევრმა სხვამ ნახევარ წელიწადში განსაკუთრებით ბევრი მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბრძოლას ვაგონების ტვირთამწეობის უკეთ გამოყენებისათვის. ნოვატორი მწონავები ამუშავებენ და იყენებენ ხეტყის, ავტომობილებისა და სხვა ტვირთების დაჩქარებული დატვირთვის სულ ახალ ხერხებს.

ჩვენი გზის დატვირთვის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს დატვირთვის გაძლიერების საშუალებით წელიწადში 2-ათასი ვაგონი დამატებითი ტვირთზიდვისათვის.

მთელი ამ რეზერვების მობილიზაციას ტვირთზიდვის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის ხელს უწყობს რკინიგზელთა შემოქმედებითი შრომა, ინიციატივა და მოსაზრებულობა. ნახევარ წელიწადში 775 რაციონალიზატორმა შემოიტანა 1.200-ზე მეტი წინადადება, მათგან უკვე დანერგილია 750, რაც წელიწადში 854 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა, ეს კი თითქმის უდრის ამ დარგში მთელი 1961 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას.

გზის ელექტროფიკატორთა კოლექტივი ამიერკავკასიის ტრანსშენის მშენებლებთან მჭიდრო თანამეგობრობით ყველა ღონისძიებას იღებს, რომ პარტიის XXII ყრილობის გახსნისათვის გაუშვას ელმავლები ნავთლუღ-სანაინის უბანზე, რომელიც საქართველოსა და სომხეთს აერთებს. ამ უბნის ელექტროფიკაცია შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე გაცილებით ადრე დაიწყო. იგი შესაძლებლობას მოგვცემს ბევრად გავაუმჯობესოთ ელმავლების გამოყენება, დავაჩქაროთ ტვირთების გადაზიდვა ორ მოძმე რესპუბლიკას შორის.

ამ სამუშაოების დაჩქარებასთან ერთად გზის კოლექტივი შეუდგა აგრეთვე კახეთის ხაზის ელექტროფიკაციას. პირველ რიგში საგარეჯომდე, ამასთან მშენებლობა წარმოებს საკუთარი ძალებით და შინაგანი რესურსებით.

გზის ელექტროფიკაციას რომ აკეთებენ, რკინიგზელები მარტო თავიანთი შიდაუწყებრივი ინტერესებით როდი ხელმძღვანელობენ. ამას წინათ სამტრედიის ენერგომომარაგების უბნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ ელექტროენერგიით უზრუნველეყო ახლომახლო სოფლები. ელექტროგანათება მიიღეს სოიუბულახის საწევი ქვესადგურის მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმაც აქსტაფის უბანზე.

რკინიგზელები ცდილობენ წინ იყონ მოძმეობრობისათვის ბრძოლაში. ჩვენი გზის მუშაკებმა ვალდებულებით ნაკისრზე მეტი ელექტროენერგია დაზოგეს და პირველი კვარტალის მუშაობისათვის საქართველოს მინისტრთა სიბჭეს და პროფკავშირთა საბჭოს მეორე ფულადი პრემია მიიღეს.

აჯამებენ რა გაწეული მუშაობის შედეგებს და აღნიშნავენ არსებულ მიღწევებს, რკინიგზელები თავიანთი ტრადიციული დღესასწაულის დღეს ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რაც ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული, ნაკლოვანებებზე, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. ეს არის სატვირთო და სამატარებლო მუშაობის რიტმულობის გადიდების, ტვირთზიდვის რაციონალიზაციის, ვაგონთა დგომის დროის შემცირებისა და ბრუნვის დაჩქარების საკითხები. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სრულიად დაკმაყოფილებულ იქნას სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი ტვირთბრუნვაზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი არ დაეშურებს ძალღონეს, რომ ვადამდე შეასრულოს შვიდწლედი, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სურათზე: თბილისის საელმავლო დეპოს მოწინავე მემანქანეები (მარჯვნიდან მარცხნივ) ს. ღონღლაძე, ს. ჭარხალაშვილი, შ. აბასაშვილი, დ. რუხაძე და შ. მაღრაძე საუბრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მომავლის მ ფარული ბიბლიოთეკა

გაბრწყინდა შუქი — მძლავრი და დიდი
მომავალ დღეთა დიდ განთიადის,
რეკს დედამიწის კიდითი კიდე
ჩვენი პარტიის სიტყვა დიადი.

სიტყვა — იმედი ქვეყნიერების,
მაცნე მსოფლიოს სიჭაბუკისა,
სათავე ყველა ბედნიერების,
წყარო სიცოცხლის უკვდავ შუქისა.

მზე-კომუნიზმის მოჩანს სასახლე —
დიდება ჩვენი საუკუნისა.
(სადღაც, ზღვებს იქით ვიღაც ცახცახებს,
მზის ბრწყინვალება თვალებს უნისლავს).

მივდივართ შენი დროშით, პარტიავ,
ჩვენო სიცოცხლევ,
დიდებავ ჩვენო,
მზის სარტყელი რომ შემოსალტვია,
ამ დიად გზაზე ვინ შეგვაჩეროს!

მამულის ზეცა ამაღლებულა,
გულზე ხვალის დღე მესხივოსნება,
აცხადებულა,
გამართლებულა
კაცობრიობის დიდი ოცნება!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

მოსკოვი, 4 აგვისტო. (საკდესი). 3 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლ. ტომპსონი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობისნორმალიზაციის საკითხის შესახებ, რომელიც პასუხია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 17 ივლისის ნოტაზე საბჭოთა მთავრობისადმი.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის იმ მოწოდების პასუხად, რომ ერთად მოჰკიდონ ხელი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და მწვავე საკითხის გადაჭრას, რომლის მოწესრიგებაზეც დამოკიდებულია მშვიდობა და მყუდროება ევროპაში, — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, —ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დასჯერდა ამერიკის შეერთებული შტატების იმ წინანდელი პოზიციის ჩამოყალიბებას, რომელიც მეტად დამძიმებულია ნამდვილ ზრუნვას მშვიდობისათვის, კერძოდ მშვიდობისათვის ევროპაში.

მრავალი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები თავს არიდებენ გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებას, ცდილობენ გადადონ იგი გაურკვეველი დროით. ამერიკის ნოტა ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც ჩანს, ამჯობინებს კვლავაც დაიცვას ეს ხაზი. საბჭოთა ნოტაში მოყვანილია იმის კონკრეტული ფაქტები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველი ღონისძიებით აჭიანურებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

საბჭოთა მთავრობა კვლავ იძლევა გაფრთხილებას, თუ რა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უქონლობა. ყველას თვალწინ დასავლეთი გერმანია ევროპაში ომის საფრთხის კერა ხდება. აქ შეიქმნა რეგულარული არმია ყოფილი ჰიტლერელი გენერლებისა და ოფიცრების მეთაურობით. უკვე დღეს ნატოს მონაწილეთა შორის დასავლეთ გერმანიას ევროპის კონტინენტზე ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს. დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეები ისწრაფვიან ფლობდნენ მასობრივი მოსპობის იარაღს.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ კაპიტულაციის შემდეგ გასული 16 წლის მანძილზე გერმანელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით მიაღწიეს დასავლეთ გერმანიაში მეტს, ვიდრე მათმა წინამორბედებმა 16 წლის მანძილზე პირველ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ცხოვრობს მძვინვარე რევანშისტული ვნებათაღელვის ვითარებაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა წამდაუწუმ აყენებს მოთხოვნას არსებული საზღვრების შეცვლის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას, ხაზგასმულია ნოტაში, ახსოვს რა ჰიტლერელთა ურდოების გამანადგურებელი შემოსევა, არ შეუძლია გვერდი აუაროს იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში კვლავ მთელი ძალით წარმოებს მზადება „აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობისათვის“.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს შემცირებულად წარმოადგინოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო პოტენციალის მნიშვნელობა იმ საფუძვლით, რომ იგი ჯერ კიდევ ბევრად ნაკლებია ამერიკის პოტენციალზე. მაგრამ საშიში იქნება მხედველობაში არ მივიღოთ, აღნიშნულია საბჭოთა ნოტაში, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უკვე ახლა ჰყავს საკმარისზე მეტი შეიარაღებული ძალები და აქვს შეიარაღება, რომ გამოიწვიოს საყოველთაო სამხედრო კონფლიქტი.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილ პირობებში საუკეთესო გადაწყვეტა იქნება დაიდოს საზავო ხელშეკრულება, ერთი მხრივ გერმანიასთან ომის მდგომარეობაში ნამყოფი ყველა სახელმწიფოს და მეორე მხრივ ორივე გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობით. მას შესაძლებლად მიაჩნია გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხის ისეთი გადაჭრაც, რომ დაიდოს ორი საზავო ხელშეკრულება: ერთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ხოლო მეორე—გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისე რომ ორივე ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი ერთნაირი იყოს.

თუ დასავლეთის სახელმწიფოები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ისინი მუდამ აცხადებენ, უარს იტყვიან ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას გერმანიასთან, აღნიშნულია ნოტაში, საჭირო იქნება ისეთი ხელშეკრულება დაიდოს უმათოდ. ამ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულება დაიდება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ამას მოისურვებენ, და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელმაც უკვე გამოთქვა ამის თანხმობა.

ცხადია, ნათქვამია ნოტაში, საბჭოთა მთავრობა საზავო ხელშეკრულებას დასავლეთის სახელმწიფოთა მონაწილეობის მიუღებლად ხალისით როდი დადებს. იგი გულწრფელად მიესალმება დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შეცვლას იმ მხრივ, რომ სსრ კავშირთან ერთად განხორციელდეს კონსტრუქციული მოქმედება გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხში.

საბჭოთა მთავრობას განუცხადებია და აცხადებს: იგი აყენებს წინადადებას დაიდოს გერმანიასთან ზავი და საზავო ხელშეკრულება. თუ ესა თუ ის სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი განახორციელებს მოქმედებას, რასაც მოჰყვება საშიში შედეგები, ეს საბჭოთა კავშირი როდი იქნება. მშვიდობის საქმისათვის შესაძლო საშიში შედეგების გამო, რომელზეც გადაკვრით ლაპარაკობს თავის ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე დაეკისრებათ იმათ, ვინც გადადგამს ნაბიჯს მშვიდობის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი კი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები შეძლებენ დაიცვან მართალი საქმე, თავიანთი უშიშროება, მშვიდობა.

საბჭოთა ნოტის დასასრულს ნათქვამია, რომ მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირის მთელი საგარეო პოლიტიკის საფუძველი იყო და არის. სწორედ ამით ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობა, როცა აყენებს გერმანიასთან საზავო მოწესრიგების ამოცანას. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მთელი სერიოზულობით მოეკიდება ამ საკითხს და თავის მხრივ შეიტანს წვლილს მისი ერთობლივი გადაჭრის საქმეში მშვიდობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი

მოსკოვი, 4 აგვისტო. (საკდესი). 3 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში გ. შოლს გადასცა საბჭოთა მთავრობის მემორანდუმი გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხის შესახებ, რომელიც პასუხია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. 12 ივლისის მემორანდუმზე.

საბჭოთა მთავრობა თავის მემორანდუმში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი კვლავ აღნიშნავს, რომ იგი „ამჯობინებს შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე“.

სსრ კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს საზავო ხელშეკრულებას მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, თუ ასეთი შეთანხმება მიღწეული არ იქნება.

მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის მოწესრიგების საკითხი „მიმდინარე წლის განმავლობაში ასე თუ ისე უნდა გადაიჭრას“.

საბჭოთა მთავრობის ფედერალური მთავრობის პასუხი მიაჩნია „მისი არარეალისტური პოლიტიკისა და იმ მტკიცე განზრახვის კიდევ ერთ მაგალითად“, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ მოწესრიგებას, რომელიც გამოიწვევდა მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში. მემორანდუმის როგორც ტონით, ისე შინაარსისაც ჩანს, რომ ფედერალური მთავრობისათვის უცხოა განზრახვა — ხელი შეუწყოს ასეთი მოწესრიგებას“.

საბჭოთა მთავრობის მემორანდუმში ხაზგასმულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მტკიცებანი, თითქოს მშვიდობიანი მოწესრიგება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნება ერთი გერმანული სახელმწიფო და ერთი მთავრობა, რომელიც მთელი გერმანიის წარმომადგენელი იქნება, „კრიტიკას საზავო ხელშეკრულება და ამ საფუძველზე უძლებს ვერც პოლიტიკური, ვერც ფაქტიური, ვერც იურიდიული თვალსაზრისით“.

ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადება ერთადერთი გონივრული გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან.. „ანგარიშს არ უწევდე ამას, ნიშნავს იმას, რომ ილუზია სინამდვილად მიგიჩნევეს და შენს პოლიტიკას“ ამყარებდე ხალხების, მათ შორის გერმანელი ხალხის მოტყუებაზე“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ის თეზისი, თითქოს საზავო ხელშეკრულების დადება გაადრმავებს გერმანიის გათიშვას, საბჭოთა მემორანდუმში დახასიათებულია როგორც ყალბი თეზისი.

უარს ამბობს რა მონაწილეობა მიიღოს საზავო ხელშეკრულების დადებაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ძირს უთხრის შესაძლოლა, უკანასკნელ შესაძლებლობას — გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი გერმანიის ერთიანობის აღდგენის მიმართულებით.

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს, რომ მზად არის ხელი შეუწყოს გერმანელებს მათი ქვეყნის გაერთიანების საქმეში, თუ ისინი მოისურვებენ ამას. მაგრამ იგი არასოდეს არ დაუშვებს, რომ ირღვეოდეს გერმანელთა ხელშეუვალი უფლება — დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი საშინაო პრობლემები.

საბჭოთა მემორანდუმი კვლავ მიაქცევს ფედერალური მთავრობის ყურადღებას იმას, რომ უსაფუძვლოა მისი ცდები — საზავო ხელშეკრულების საკითხის გადაჭრა დამოკიდებული გახდოს საყოველთაო კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევაზე.

სსრ კავშირის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანელ ხალხში უნდა აილაგმოს და ძირი გამოეთხაროს იმათ პოზიციებს, ვინც სულდგმულობს რევანშის იდეებით, მაშასადამე, დაღუპვის გზაზე აყენებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. „ასეთი საშუალებაა დაუყოვნებლივ დაიდოს გერმანიის მშრომლობის შესახებ უპასუხებს მტრობისა და სიძულვილის პოლიტიკით, თავისთავად იბადება დასკვნა — თვითგამორკვევის ლოზუნგით იფარება განზრახვა — თავს მოახვიონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დასავლეთ გერმანიაში არსებული რეჟიმი.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირის გამოთხრის ან შთანთქმის იმედები, — ნათქვამია საბჭოთა მემორანდუმში, — ილუზიაა, თანაც ფრიად საზიზღათო ილუზია“. „ეარგი იქნება ფედერალურმა მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მეგობარი და მოკავშირეა საბჭოთა კავშირისა, რომელიც ყოველთვის მზად არის დაეხმაროს მას მთელი თავისი ძალიერებით, რათა დაიცვას მისი სუვერენული უფლებები, მისი საზოგადოებრივი წყობილება რომელიც უნდა იყოს მხარის ხელყოფისა და ხრიკებისაგან, რომელიც უნდა იყოს აგრესიისაგან“.

საბჭოთა კავშირი კვლავ აცხადებს, რომ იგი და მისი მეგობარი სახელმწიფოები სულაც არ ხელყოფენ დასავლეთ ბერლინის თავისუფლებასა და მის საშინაო წესებს.

სსრ კავშირის წინადადებაა მიენიჭოს დასავლეთ ბერლინს ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან ან ერთ-ერთ მათგანთან საზავო ხელშეკრულების დადების საფუძველზე თავისუფალი დემილიტარიზებული ქალაქის სტატუსი და დაწესდეს უაღრესად საიმედო საერთაშორისო გარანტიები, რომლებიც გამორიცხავდნენ მის საშინაო საქმეებში გარიდან ჩარევის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამასთან ფედერალურმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ აშკარა ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არა ჰქონია და არცა აქვს რაიმე უფლება დასავლეთ ბერლინზე

ტექნიკური პროგრესის საფუძველი

ნიკოლოზ ვეკუა,
აკადემიკოსი

✦

დიდი გზაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს, რომელიც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ივნისის პლენუმმა. პროექტში მოცემულია კაცობრიობის ნაწილი მომავლის — კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამა. ეყრდნობა რა სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებებსა და გამოცდილებას, პარტია სახავს კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

კომუნიზმის მშენებლობის საფუძველს წარმოადგენს მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვა სახალხო მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების უმაღლესი ტექნიკური პროგრესის უმაღლეს საფეხურზე აყვანა ისეთ განმსაზღვრელ დარგებში, როგორიც არის მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია...

შრომის ნაყოფიერების უმაღლესი ზრდა და ტექნიკური პროგრესი ემყარება საბუნებისმეტყველო მეცნიერების წამყვანი დარგების შემდგომ განვითარებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ მეცნიერებისა და კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემდგომ განვითარებას. პროგრამის პროექტში ვკითხულობთ: „მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შემდგომი პერსპექტივები ახლანდელ პერიოდში განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა ბუნებისმეტყველების წამყვანი დარგების მიღწევებით. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის განვითარების მაღალი დონე ტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მეცნიერებათა აღმავლობისა და ეფექტიანობის „უცილებელი პირობაა“.

შეეგრძედთ მოკლედ იმ როლზე, რომელიც მათემატიკურ მეცნიერებას ენიჭება ტექნიკური პროგრესის საქმეში.

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება მათემატიკის განვითარების გიგანტური ტემპით. კვლევის მათემატიკური მეთოდები დიდი ხანია გასცდა მათემატიკის ფარგლებს და შეიჭრა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის სხვა დარგებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერებათა მათემატიზაცია. ის უდიდესი პროგრესი, რომელიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში საპლანეტათშორისო სივრცის შესწავლის საქმეში და რომელიც დაგვირგვინდა საბჭოთა კავშირის მოქალაქის ი. გაგარინის გაფრენით კოსმოსში, წარმოუდგენელია ზუსტი მათემატიკური გაანგარიშების გარეშე. ცხადია, აქ მარტო ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება როდი იყო „გადამწყვეტი, ასევე გადამწყვეტი იყო ის ტექნიკური კონსტრუქცია და აღჭურვილობა, ურომლისოდ ხსენებული პროგრესი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღწეული. ნათქვამიდან აშკარა ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში კვლევის კომპლექსურ მეთოდებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში დასახული გრანდიოზული ამოცანა კომუნიზმის მშენებლობისა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს მეცნიერების სხვადასხვა დარგში კვლევის კომპლექსური მეთოდების დანერგვას, მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვას სახალხო მეურნეობაში.

სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის საქმეში, განსაკუთრებული როლი ეკისრება მათემატიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის თანამედროვე მექანიკა, კერძოდ დრეკადობის თეორია. დრეკადობა ანუ როგორც იტყვიან, დრეკადი თვისება მეტნაკლებად ყველა სხეულს ახასიათებს, განსაკუთრებით კი ისეთ სხეულებს, რომლებიც იხმარება სამშენებლო ტექნიკაში, მანქანათმშენებლობაში, ავიაციაში, სატრანსპორტო საქმეში. ძალთა სისტემის მოქმედებით ყოველი სხეული იცვლის ფორმას, იცვლება სხეულის შემადგენელ მატერიალურ ნაწილაკთა შორის ურთიერთმანძილი, სხეული განიცდის დეფორმაციას. სხეულთა ერთი ნაწილი, რომელსაც დიდად იყენებენ ზემოხსენებულ დარგებში, ძალთა სისტემის მოცილების შემდეგ თითქმის მთლიანად აღადგენენ პირვანდელ მდგომარეობას. ასეთ სხეულებს დრეკადი სხეულები ეწოდება. მაგალითად, თუ რეზინის ნაჭრის ბოლოებზე ვიმოქმედებთ გამჭიმავი ძალებით, ის წაგრძელდება. მაგრამ ხსენებული ძალების მოცილების შემდეგ ადვილად უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას. ასეთივე დრეკადი თვისებები აქვთ ავტომანქანების საბურველებს, რკინიგზის რელსებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, მანქანების დეტალებს, თვითმფრინავის ნაწილებს და სხვ.

დრეკადობის თეორია სხეულების ასეთ თვისებებს შეისწავლის. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სხეულებს მათი ფიზიკური თვისებებისა და გეომეტრიული აგებულების მიხედვით სხვადასხვა თვისებები აქვთ, რაც მოითხოვს ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციალურ შესწავლას. დრეკადობის თეორიისა და საერთოდ მექანიკის შემდგომი განვითარება დიდად შეუწყობს ხელს იმ რთული საკითხების გადაჭრას, რომლებიც დგას ამჟამად ტექნიკური მეცნიერების წინაშე.

ქართულ მათემატიკურ სკოლას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათემატიკის სხვადასხვა აქტუალური პრობლემის დამუშავებაში. დიდია ამ სკოლის დამსახურება დრეკადობის მათემატიკური თეორიის დამუშავების საქმეში. აკად. ნ. მუსხელიშვილისა და მისი უახლოესი მოწაფეების მიერ ხსენებულ დარგში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დარგში მიღებულმა შედეგებმა საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

საქართველოს მათემატიკოსები კვლავაც ენერგიის დაუზოგავად იშრომებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც მათ ეკისრებათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის საფუძველზე.

პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე

რუსთავი. აქ შედგა ქალა

გამარჯობა, ახალო რუმინეთო!

არ დავიწყება მოყვრისა...

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

დღევანდელი დღე ქართველ-რუმინელთა ძმობისა და მეგობრობის დღეა! რიგია ძველი ურთიერთობისა მოვიგონოთ.

დიდხანია, რაც საქართველოს და რუმინეთს შორის მეგობრული კავშირი არსებობს და რუმინეთის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში ერთიორად განამტკიცებს ჩვენს მეგობრობას.

ვლახეთ-მოლდოვას კარგად იცნობდა ქართველობა, განსაკუთრებით „ვლახეთი“ პოპულარულია ძველ ქართულ მწერლობაში.

ჯერ კიდევ უძველეს საუკუნეებში, ჩვენი ათონელი მოღვაწეები დადიოდნენ ვლახეთში და იქ ტაძრებსაც კი აგებდნენ.

ქართული გავლენა რუმინეთის არქიტექტურაში შემჩნეულია თვით რუმინელ მეცნიერთა მიერ.

ეს კავშირი არ შეწყვეტილა საქართველოს დაცემის დროსაც. ახე, დომენტი ბაგრატიონი (კათალიკოზი) ყოფილა ვლახეთში, როგორც ათქმევინებს თვით დომენტის მისი თანამედროვე და მისივე ამალის წევრი იასეტლაშაძე. — „ბაქარიანის“ ავტორი.

დომენტის ყოფნა რუმინეთში მიეკუთვნება მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო წლებს.

უსათუოდ სავარაუდოა დომენტისა და ანთიმოზ ქართველის შეხვედრა ვლახეთში და ამ შეხვედრაში ქართული სტამბის იდეის ჩასახვაც. დომენტი, — ვახტანგ მეექვსის ძმა, განათლებული პიროვნება იყო, მწერლობის მოყვარული, და ცხადია, ინტერესით მოეკიდებოდა სასტამბო საქმეს.

აკი არსებობს კიდეც ცნობა (პოლიევქტ კარბელაშვილისა) რომ 1680-1690-იან წლებში დომენტი ბაგრატიონი იერუსალიმში ყოფნისას დაუმეგობრდა სტამბის გამგეებს, შეისწავლა წიგნის ბეჭდვის საქმე, თან წამოიღო ზოგი რამ მოწყობილობა სტამბისა, ნატრობდა, როდის ეღირსებოდნენ თავის სამშობლოში სტამბის გახსნასო.

თუ გავიფიქრეთ, ანთიმოზ ქართველი ამ სტამბის საქმე არ იყო შესაფერისად დაყენებული, იმასაც, რომ იერუსალიმის პატრიარქი კონსტანტინეპოლში ცხოვრობდა, ანთიმოზ ქართველი უბეჭდავდა წიგნებს იერუსალიმელ პატრიარქებს და მათი მეოხებითაც შეისწავლა სასტამბო საქმე, მაშინ შეიძლება იმ ცნობაში, რომელსაც მოუღწევია კარბელაშვილამდის, იერუსალიმის ნაცვლად ვიგულისხმოთ იერუსალიმის პატრიარქის კარი კონსტანტინეპოლში და მაშინ დამაჯერებელი გახდება დომენტის შეხვედრა ანთიმოზთან.

ქართველ ანთიმოზის როლი უკვე ცნობილია მკითხველთათვის. იგი დიდი პიროვნებაა.

ჩვენი „ანთიმი“ ასე უწოდებენ რუმინეთში.

ანთიმოზი იყო ახალი რუმინეთის მწერლობის ფუძემდებელი, სასტამბო საქმეების დიდი ორგანიზატორი (ვიდი სტამბა მოაწყო რუმინეთში) და პირველი ქართული სტამბის დამაარსებელი, ვახტანგ მეექვსესთან ერთად.

ანთიმოზმა, ვახტანგის მოთხოვნით რუმინეთიდან საქართველოში გამოგზავნა თავისი ნიჭიერი ხელოვანი მოწაფე მიხაი (მიხეილი) სტეფანეს ძე („უნგროვლახელი“). ეხლანდელი ქალაქ სტალინოს მცხოვრები). ანთიმოზის ინსტრუქციისა და გეგმის მიხედვით მან მოაწყო პირველი სტამბა თბილისში, რომელიც ამუშავდა 1708 წლის მეორე ნახევარში.

მიხაის სახელს ქართველები დიდი მადლიერებით ვიხსენებთ, ვინაიდან იგი არ დაერიდა მაშინდელ განსაცდელით სავსე. მოგზაურობას ბუქარესტიდან თბილისამდე, ასევე ოსმალთა მტაცბრვალობას და საქართველოში ჩამოვიდა ფარულად, თან ჩამოიტანა ზოგი რამ ხელსაწყო და გაგვიმართა „სტამბის ქარხანა“, როგორც ძველად ქართველები „სტამბას“ უწოდებდნენ.

რუმინეთის დიდმა პატრიოტმა ქართველმა ათანიმოზმა და ვლახელმა მიხაიმ ჯერ კიდევ ორას ორმოცდაათი წლის წინათ განახორციელეს ქართველ-რუმინელთა ძმობა, მაშინდელ უსასტიკეს პირობებში.*

ანთიმოზამდე და მის შემდეგაც არაერთ ქართველს უცხოვრია ოუძიხეთში. XVII-XVIII საუკუნეებში მრავალი ქართველი ტყვე თურქეთიდან გაპარვას ახერხებდა და თავს აფარებდა ქრისტიანულ ვლახეთ-მოლდოვას.

რუმინეთში გადმომცეს, რომ ანთიმოზის კარი ღია ყოფილა ლტოლვილი ქართველებისათვის, რაც სავსებით სარწმუნოდ მიმაჩნია.

XVIII საუკუნეში ვლახეთ-მოლდავაში იყვნენ ქართველი მოგზაურებიც: ტიმოთე გაბაშვილი და იონა გედევანიშვილი. უკანასკნელმა ხომ საინტერესო აღწერა დაგვტოვა ვლახეთ-მოლდავიისა.

რუმინეთის ქალაქ იასსში, 1791 წელს თავისი უდროო სამარე ჰპოვა ჩვენმა შესანიშნავმა პოეტმა ბესიკმა.

ბესიკის საფლავის ადგილი უკვე ცნობილია, შენახულია ბესიკის საფლავის ქვაც. ქართული და ბერძნული წარწერებით.

ორიოვ ვნახე სხვადასხვა ადგილას. დროა, ვიზრუნოთ ბესიკის საფლავისათვის...

ახე იყო ძველად... გადიგრიალეს სისხლის წვიმებმა...

რუმინეთიდან ჩვენი კულტურული მჭიდრო კავშირი განახლდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და გაცხოველდა განსაკუთრებით ბოლო ხანებში.

რუმინეთში კარგად ცნობილია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა. ბუქარესტში უკვე დაიწყეს ქართველ მწერალთა თარგმნა და ბეჭდვა.

ჩვენნ დაუღალავი მეგობარი, პოეტი ვიქტორ კერნბახი ამ საქმეში დიდად გვეხმარება. იგი უკვე ფლობს ქართულ ენას. მან თარგმნა: „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილი, (მთლიანად); ქართული ზღაპრები; დასწერა წიგნი საქართველოზე — „ქვეყანა მარადიულ თოვლსა და ფოროთხლებს შუა“ 1958 წ., ახლა წერს დღიურებს საქართველოზე. სხვა მწერლებიც არიან დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნით.

სხვათა შორის, 1959 წ. ბუქარესტში რუმინულად დაიბეჭდა ჩემი ლექსების წიგნიც.

ბოლო ხანებში, საქართველოში, ორჯერ ჩამოვიდნენ რუმინელ მწერალთა დელეგაციები. საქართველომ მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, არა ერთი ლექსი მიუძღვნეს საბჭოთა საქართველოს, ქართველ ხალხსა და ქართულ ბუნებას.

1960 წ. იანვარში მე პირადად, მეორეჯერ გახლდით რუმინეთში. ჩემთან იყო ჩვენი ხელოვნების მცოდნე ვახტანგ ბერიძეც. ქვეყნის დათვალიერების შემდეგ „არლიუსში“ შედგა თათბირი ქართულ-რუმინული კულტურის უფრო მჭიდრო კავშირის გაბმის შესახებ. ჩვენც მხურვალე მონაწილეობა მივიღეთ. თათბირში. წამოყენებული იქნა საინტერესო წინადადებანი, კერძოდ, ქართველ და რუმინელ მწერალთა თარგმნისა და გამოცემის შესახებ.

ასევე დაისვა საკითხი ქართულ-რუმინული კინოსურათის დადგმისა.

უფრო ადრე ვიყავი რუმინეთში, 1950 წელს მიხაი ემინესკუს იუბილეზე, როგორც საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრი.

იუბილეზე წარმოვთქვი მისასალმებელი სიტყვა.

მაშინ პირველად შევხვდი რუმინეთის ცნობილ მწერალს, „ცოცხალ კლასიკოსს“ მიხაი სადოვიანუს, რომელიც დიდათ იყო დაინტერესებული საქართველოთი და გამოთქვამდა საქართველოს ნახვის სურვილს, რაც რამდენიმე წლის შემდეგ განახორციელა.

მახაი სადოვიანუ განსაკუთრებით გაიტაცა ქართულმა ხელოვნებამ.

არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

ქართულად გამოიცა ცნობილი რუმინელი პოეტი კლასიკოსის მიხაი ემინესკუს, კარაკალეს, კრიანგას და სხვათა ნაწერები.

ჩვენს მთარგმნელებს თავის სამუშაო გეგმაში არა ერთი რუმინელი მწერლის თხზულებათა თარგმნა აქვთ გამიზნული.

მე და ოთარ გვინჩიძემ დავწერეთ სცენარი „ანთიმოზ ივერიელი“.

ძველი მეგობრობა ახლა გადიადდა და უფრო ნათელი გახდა.

ახლა უფრო თამამი კაშკაშით ინთება ძმობის ვარსკვლავი ამ ორი პატარა მაგრამ სულით ძლიერი ერისა, რომელნიც წარსულში ტანჯულან, როგორც არავინ დედამიწაზე!

ჩვენი მოვალეობაა ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ამ მეგობრობის განვითარებას და აყვავებას.

საამოა, შეხვდე მეგობრის გულს, რადგან გული მეგობრისა ჰქმნის სიხარულს და სიხარულიდან სიცოცხლე და სიმღერა იბადება.

ამ მეგობრობის გულს ჩვენ არასოდეს არ დავკარგავთ.

აკი დიდმა შოთამ გვიანდერძა:
„არ დავიწყება მოყვრისა
აროდეს გვიზამს ზიანსა!“

ფეიქარ ქალს ეღიმეგა...

ჩვეულებრივი საკლასო ოთახი. კათედრა, სამი მწკრივი მერხები, საკლასო ყურნალი მუყაოს ლერჯ ყდაში. მოსწავლეები ისევე ღელავენ, როგორც მოსწავლეთა ყველა თაობა. მაგრამ საღამოს სკოლის XI კლასის მოსწავლეთა სახეებზე ჩვენ ვერ ამოვიკითხავთ იმ ღელვას, რომელსაც შევამჩნევთ დილის მოსწავლეებს. სასკოლო ფორმას რომ ატარებენ. აქ გრძნობები უფრო შეკავებულია. დარჩა რამდენიმე საღამო, და დამთავრდება გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად. ამისათვის საჭირო იყო დიდი, შეუპოვარი, ორგანიზებული შრომა და ისევე სიბეჯითე, რომლითაც ეს მოსწავლეები დილით ამზადებდნენ თავიანთ საუბარ ადგილს.

ყველა ესენი მუშები არიან, ქალები და კაცები. საფეთქელშეკვერცხლილი ხარატი ზის მერხზე ჰაბუკის გვერდით, რომლის სახეს სამართებელი პირველად სულ ახლახან შეეხო. ორი მოსწავლის დედა, რომელიც რვეულში იწერს სინუს ალფას ფორმულას, ზის ქარხანაში ახლად მოსულ ქალიშვილთან.

ყველა დუმს. მასწავლებელმა გადაშალა ყურნალის ფურცელი, მეორე. არაჩვეულებრივი მოსწავლეები მოსწავლეები არ იქნებოდნენ, რომ არ იცოდნენ, ვის გამოიძახებს იგი ახლა. ყველამ შეხედა ფანჯარასთან მესამე მერხზე მჯდომ ახალგაზრდა ქალს.

— დინკე ეოანა.

ეოანაც მოელოდა, რომ მას გამოიძახებდნენ. სწრაფად აუხამხამდა ცისფერი თვალები. მაგრამ შემდეგ ახრი მოიკრიფა და უპასუხა შეუფერხებლად, საგნის კარგი ცოდნით. ეოანა დინკე თავის ადგილას დაჯდა, თავის ერთ რაღაც ახრს გაუღიმა. ხოლო მასწავლებელმა, ნიშანს რომ წერდა ჟურნალში, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ეოანას გვარის პირდაპირ დაწერილს: „ფეიქარი 7 ნოემბრის სახელობის ფაბრიკიდან“. „სულ არ იფიქრე, რომ ოთხ 29 წლისაა, — გაიფიქრა მასწავლებელმა, — ისე ახალგაზრდად გამოიყურება“.

და უკვე მერამდენედ გაიფიქრა მასწავლებელმა, რომ უკანასკნელ წლებში მისი მუშაობა აღსავსეა მოულოდნელობით და დიდი კმაყოფილება მოაქვს მისთვის. ეოანა დინკემ, ამ ყოველთვის ბეჯითმა და მოსაზრებულმა ქალმა, სკოლაში სიარული დაიწყო, როცა სხვები უკვე დიპლომების დასაცავად ემზადებოდნენ. ერთ წელიწადში მან ექსტერნად სამი კლასის — მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასების კურსი ჩაბარა. მერვე კლასში გადავიდა თავის ქმართან ეოან დინკესთან ერთად, და ახლა „სიმწიფის“ ზღურბლზე დგას.

„ეს ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი სტილია, — ფიქრობს ბოლოს მასწავლებელი, — სიმწიფე! ეოანა დიდი ხანია მომწიფებულად აზროვნებს და თავის ძალებში დარწმუნებულია. ყველა ჩემი მოწაფე ასეთია. მათ სწავლა სურთ. და სწავლობენ. ჩვენს დროში ასეთი ადამიანები ცოტანი როდი არიან.

ეოანა ჯერ უარს ამბობდა — მხატვრის სახელოსნოში სეანსები უქმად დაკარგული დროაო. სიბამდვილეში კი სცხვენოდა. უჭირდა უძრავად ჯდომა, რაც მისგან მხატვარი მოითხოვდა, იძულებითი სიჩუმე მხატვრის მუშაობის დროს, ხოლო, რაც მთავარია, აწუხებდა ფიქრი. რით უნდა ხატავდეს ჩემს სურათს მხატვარი, ვინა ვარ მე, ეოანა დინკე? მას უსასნიდნენ: წარმოების მოწინავე ხარ, მშრომელები კარგად გიცობენენ, შენს ოსტატობაზე გაზეთები წერენ. განა ამ მშრომელებმა არ აგირჩიეს დეპუტატად დიდ ეროვნულ კრებაში? მხატვარი კი, შენს პორტრეტს რომ ხატავს, საზოგადოებრივ შეკვეთას ასრულებსო.

შემდეგში ეოანა თანდათან შეეჩვია ამ ხანგრძლივ სეანსებს, რომლების დროს მხოლოდ ხანდახან გაისმოდა რეპლიკები სეფაბრიკო და სასკოლო საქმეებზე, შვილების ცელქობაზე.

ის კარგი შემთხვევა იყო მის ოცნებაში წასულიყო. აქ შეიძლებოდა გეგმების ქსოვა ისევე, როგორც ყველაფერისა და სახეების ქსოვა ტილოზე. ეოანამ ერთხელ გაიღიმა, მხოლოდ ერთხელ. დაკვირვებული მხატვარი გამოეცხლდა, და მისმა ფუნჯმა რამდენიმე მოკლე მოძრაობით ის ღიმილი გადატანა ტილოზე. სეანსების დროს იგი თანდათან სწავლობდა თავის მოდელს. აკვირდებოდა მის შინაგან სამყაროს, მის ღელვას, რომელიც ისახებოდა ახალგაზრდა ფეიქრის სახეზე, თვალებში, უმოქმედობას მიუჩვეველი თითების მოძრაობაში. და აი რაღაც ზამით ტუჩების კუთხეში ღიმილმა გაიელვა.

მხატვარმა წარმოიდგინა, როგორ იხლართება მის მარჯვე თითებში წვრილი ძაფი, როგორ აკვირდებიან ცისფერი თვალები მაქს მოძრაობას; იგი ცდილობდა წარმოედგინა ეოანა როგორც მქსოველი, ხედავდა, როგორ იჯდა იგი დიდი ეროვნული კრების დარბაზში, ესაუბრებოდა ანა ბაკინას, მარიამ ზიდარეს და სხვა ქალებს, რომლებმაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში ისწავლეს გალმება. მხატვარმა ეპოვნა მთავარი ახრი. რრი საათის განუწყვეტელი მუშაობის დროს მას ხმა არ ამოუღია და მხოლოდ სეანსის ბოლოს იკითხა:

— მითხარით, რატომ გაიღიმეთ წეღან?

— წეღან? რაღაც შორეული მომაგონდა...

მხატვარს აღარ გამოუკითხავს. ცოტა ხნის შემდეგ კი ეოანა დინკემ თვითონ უამბო. ეს ალსარებას ჰგავდა.

ათ წელზე მეტია, რაც იგი წავიდა მშობლების სახლიდან. უნდოდა ფეიქარი გამხდარიყო. ბუქარესტში ახალი ფაბრიკები იხსნებოდა, მუშები სჭირდებოდათ.

— წარმოიდგინეთ, მიველი ფაბრიკაში და განვაცხადე, პარტიასთან ლაპარაკი მინდა-მეთქი. სწორედ ასე, სიტყვასიტყვით. სახე ამელეწა, თვალებში ცრემლი მომერია. მაგრამ არავის არ გაპკვირვებია ჩემი სიტყვები. მაშინვე მომიყვანეს პარტორგანიზაციის მაშინდელ მდივანთან დემიტრუ მიერლუშკესთან. ფაბრიკაში მიმიღეს და რამდენიმე თვის შემდეგ მქსოველი მარიამ ვასილეს დახმარებით ვისწავლე დაზგაზე მუშაობა.

• • •

მართლაც ასე შევიდა ეოანა დინკე ფაბრიკაში და ცხოვრებაში. ამ დროიდან მისი ცხოვრება მიდიოდა იმ სტილის შესაბამისად, რომელზეც მასწავლებელი ფიქრობდა. მორცხვი გოგონას გახსენებამ რომელსაც პარტიასთან ლაპარაკი უნდოდა, თავშეკავებული ღიმილი მოჰგვარა ამჟამად მომწიფებულ ქალს, ღიმილი, გამოწვეული რაღაც ძვირფასის და იდუმალის მოგონებით. ოთხი წლის შემდეგ ეოანა დინკე კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. უშუალობამ, ბუნებრივმა სამარჯვემ, ენერგიამ, შრომისმოყვარეობამ და სულიერმა სილამაზემ აქცია იგი ჩამოყალიბებულ ადამიანად, რომელიც არ შეიძლებოდა არ მიეღოთ ყველაზე მოწინავე ადამიანთა — კომუნისტთა რიგებში.

• • •

— ამიტომაც გავიღიმე, — დასძინა ეოანა დინკემ, — მომაგონდა...

ი. მარიანი.

„ნაროდნაია რუმინია“.

• • •

სურათზე: ეოანა დინკე თავის შვილებთან.

საქართველოს

ვიქტორ კერნბახი,
რუმინელი პოეტი

შენთან ალერსის მარად მსურველი —
დიდი სიმღერის ძალას შევეი,
მე შენი მიწის მათრობს სურნელი,
ვარ მოხიბლული შენი მშვენ̆ებით.

ვდგავარ შენთან და სული მევსება,
სითბო ტრიალებს შენში იმხელა,
შენი ტყეების, შენი ნელ̆ყვავების
და განთიადის მესმის სიმღერა.

მზისკენ მიილტვი და მზით ივსები,
ვეღარ გიხილავს მტერი გათელილს,
ერთად ამოდის კიპარისებში
ნ̆ესე და სახება შენი ნათელი.

მრავალი წელი გადაგიქროლებს,
დრო ვერ შეარცხვენს სახელს ქართველის,
(ძმაო, მე ახლაც იმ წუთს ვიგონებ,
ერთმანეთს ძმურად ხელს რომ
ვართმევდით).

ვხედავ შენს მკერდზე ზურმუხტს მოფენილს,
ამაოდ წუთით აღარ მოედები,
მე ქალაქები ვნახე სოფლებშიც,
ვარ მომღერალი შენი ოცნების.

ბედნიერ დღემდე ბრძოლით მოხვედი,
გკლავდნენ და მოგვდა შენი მსაგრელი,
ნაცვლად სვედის და ნაცვლად ქოხების —
გშვენის სიმღერა და სასახლენი.

ზღვათა, მთათა და ზეცის თილისმა —
ლექსში ყველაფერს როგორ გატევდე,
ნორჩი რუსთაველ, ძველი თბილისი
გამხნეგებენ და ძალას გმატებენ,

დინჯი ნაბიჯით გაუსწრებ დრო-ჟამს,
შენი მიზანი დროს უმკლავდება,
ფრიალებს შენი წითელი დროშა,
გშვენის სიცოცხლე და უკვდავება.

ხედავ მომავალს, ნათელ მომავალს,
მიზანი აღარ დაგეზაფრება,
ვამაყობ, ამის მოწმე რომ ვარ
და ვხედავ მე შენს მზისკენ გაფრენას.

თარგმანი ფ. ბერიძისა.

პოემა ი. ა. გაგარინზე

ბუქარესტის კომედიის თეატრმა საინტერესო ინიციატივა წამოიწყო: სპექტაკლის დაწყებამდე უჩვენებენ „თეატრალურ ჟურნალს“, როგორც წესი, იგი მიძღვნილია ჟეელზე მნიშვნელოვანი მოვლენისადმი.

„თეატრალური ჟურნალის“ უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია პირველ კოსმონავტ ი. ა. გაგარინისადმი.

„ჟურნალის“ ავტორი ბრელედინუ დრამატიულ პოემაში ხაზს უსვამს პირველ კოსმონავტის გმირობის ისტორიულ მნიშვნელობას. შესანიშნავად არის გადაწყვეტილი გაგარინის დიალოგები პრომეთესთან, კოლუმბთან, ჯორდანო ბრუნოსთან, ჟიულ ვერნთან, კ. ე. ციოლკოვსკისთან და ჟველ 2961 წლის კოსმონავტთან.

„შენ არ გეშინია ღმერთის?“ — ეკითხება პრომეთე. — „არა, — უპასუხებს გაგარინი, — მე მწყურია სიმაღლე!“ კოლუმბის მტკიცებაზე, რომ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, გაგარინი უპასუხებს: „მეცნიერებას არა აქვს საზღვარი“. „შენ რუსი ხარ? — გაკვირვებულია ჟიულ ვერნი, — ჩემი გმირი რომ ამერიკელი იყო?, როდის მოხდა ასეთი ცვლილება?“ ამაზე გაგარინი უპასუხებს: „1917 წლის ოქტომბერში, „ავროროს“ ქვემეხების ზალპებთან ერთად“. და ასე საინტერესოდ გრძელდება ბოლომდე.

ამ ორიგინალურმა და საინტერესო „ჟურნალმა“ პირველ კოსმონავტზე ბუქარესტის თეატრალური მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.



რუმინეთი დღეს

ახალი ქარხნები

მიმდინარე წელს რუმინეთში მწყობრში ჩადგა 26 ახალი სამრეწველო საწარმო და 34 ახალი საამქრო, მოდერნიზებული იქნება და გაფართოვდება 96 ქარხანა და ფაბრიკა. ამ მიზნით გამოყოფილია და იხარჯება 15,6 მილიარდი ლეი, ე. ი. 26 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს. უკანასკნელ ათი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა თანხებმა მიაღწია 141.722 მილიონ ლეის.

ვაჭრობა 80 ქვეყანასთან

ამას წინათ რუმინეთის საზღვაო ნავსადგურ კონსტანციიდან ინდოეთში გაიგზავნა 100 ტრაქტორი „უტს-2 სუპერ“. მუშაობის მაღალი კოეფიციენტის გამო რუმინეთის ტრაქტორებზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის ჩეხოსლოვაკიასა და საბერძნეთში, საფრანგეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ესპანეთსა და ბრაზილიაში, კუბასა და ბირმაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამჟამად რუმინეთი ფართო ვაჭრობას აწარმოებს 80 ქვეყანასთან და გააქვს არა მარტო ტრადიციული საქონელი — მარცვალი და ნავთობი, არამედ აგრეთვე მანქანათმშენებლობის მოწყობილობა, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია და სხვა, რომელიც სრულიად უცნობი იყო ძველი ბურჟუაზიული რუმინეთისათვის.

სახეს იცვლის რუმინეთის სოფელი

სულ უფრო იცვლის სახეს რუმინეთის სოფელი. იგი სრულებით არა ჰგავს ძველ, ღატაკსა და ჩამორჩენილ სოფელს. მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რუმინეთის სოფლებში აშენდა 700 ათასი ახალი სახლი. საცხოვრებელი ბინების მშენებლობის ასეთი ტემპი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ამაღლდა რუმინელი გლეხის ცხოვრება. ამჟამად სოფლის მოსახლეობა უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებს ისეთ საქონელზე, რომელზეც წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა. ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობამ შეიძინა 215 ათასი რადიომიმღები, 22 ათასი ველოსიპედი, 17 ათასი მოტოციკლი, 55 ათასი საკერავი მანქანა, ასევე 560 მილიონი ლეის ავეჯი.

ძვირფასი ინიციატივა

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის გავრცელების საზოგადოებამ ამას წინათ შექმნა ასობით სამეცნიერო ბრიგადა, რომლებშიც შედიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ისინი თავისუფალ დროს მიდიან სოფლებში და მოსახლეობას უკითხავენ კვალიფიციურ ლექციებს, ეხაუბრებიან თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის უკანასკნელ მიღწევებზე.

პოლიგრაფკომბინატის იუბილე

შესრულდა ათი წელი, რაც მწყობრში ჩადგა პოლიგრაფიული კომბინატი „სკინტეიის სახლი“. იგი ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა არა მარტო რუმინეთში, არამედ მთელ ევროპაშიც. მარტო ერთ დღეს კომბინატი უშვებს 2.650 ათას ეგზემპლარ გაზეთს, 100 ათას წიგნსა და ბროშურას, ამდენივე ჟურნალს და 45 ათასამდე ილუსტრირებულ ღია ბარათს.

სურათზე: ბუქარესტი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახლის ახალი დარბაზი და საცხოვრებელი სახლების ანსამბლი.

მეგობრის თვალით

ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლების შემდეგ რუმინელი ხალხი შეუდგა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას და სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნას.

ახლა რუმინეთში მრეწველობა მძლავრი აღმავლობის გზაზეა. სწრაფი ტემპით ხორცესხმდება ქვეყნის ელექტროფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთი მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მარაგით, იქ გაშლილია ჰიდროელექტროსადგურების დიდი მშენებლობა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იქ აშენდა ათზე მეტი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელთა მშენებლობაში რუმინელ ხალხს ძმური დახმარება გაუწიეს ქართველმა სპეციალისტებმა. 1952 წლიდან დაწყებული რუმინეთში სისტემატურად იგზავნებიან ქართველი გეოლოგები, ჰიდროტექნიკოსები და სხვა დარგის სპეციალისტები. ესათ შორის გ. ჯიღაური, თ. გეველია, პ. ლომაია, ალ. ლოსაბერიძე და ამ სტრიქონების ავტორი რუმინეთის ხშირი სტუმრები არიან. რუმინელ პროფესორ პაველ დორონთან, ინჟინრებთან დიაკონუსთან, ნოურესკუსთან, ნისიმთან, როზ მარიკასთან, კოკასთან, სიმპლიჩანუსთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად ჩვენ ვმუშაობდით და ვარჩევდით ჰიდროელექტროსადგურების, მათ შორის ბიკაზის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის როგორც პრობლემურ, ისე კონკრეტულ საკითხებს. ბიკაზის ჰიდროელექტროსადგურში აშენდა 130-მეტრიანი გრავიტაციული ბეტონის კაშხალი. ქართველი სპეციალისტების დახმარებით, რომელსაც ჰიდრომშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ, გადაწყდა ბიკაზის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში ცემენტისა და ბეტონის გამოყენების პრინციპული საკითხები.

ბიკაზის ჰიდროელექტროსადგური ყველაზე დიდია რუმინეთში და მისი აგება დაკავშირებული იყო მშენებლობისათვის მასალებისა და ტექნიკის შერჩევისა და გამოყენების რთულ საკითხებთან. რუმინეთის ჰიდროელექტროსადგურების სამინისტრომ მოიწვია მშენებლების, დამპროექტებლების და სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წმყვან მეცნიერ მუშაკთა გაფართოებული თათბირი ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საკვლევ-საპროექტო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა. საბჭოთა კავშირიდან თათბირს ესწრებოდა ამ სტრიქონების ავტორი. თათბირმა ორი კვირის განმავლობაში მოისმინა მრავალი მოხსენება საშენი მასალების ტექნიკური პირობების, მშენებლობის მეთოდების და მასალების ხარჯვის ნორმების საკითხებზე.

მე დავალებული მქონდა თათბირზე გამეკეთებინა ოთხი მოხსენება: ცემენტის შერჩევის, მისი დამზადებისა და ტექნიკური პირობების; ბეტონის მარკირების; მასიური ბეტონის მუშაობის ტექნიკური პირობების და ბეტონის ნაგებობათა კონტროლის შესახებ. ყველა ამ მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა ჩვენი რეკომენდაცია მიღებულ იქნა და საფუძვლად დაედო ბიკაზის მაღალი გრავიტაციული კაშხალის მშენებლობას.

ბიკაზის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ამჟამად დამთავრებულია. იგი 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურია, რომლის წყალსაცავი მრავალი ათასი ჰექტარი მიწის მორწყვის საშუალებას იძლევა.

დაუვიწყარია ის სიყვარული, სითბო და პატივისცემა, რომელსაც ყოველდღე ეგრძნობოდით რუმინეთში მრავალი თვის მანძილზე იქ მუშაობის პერიოდში. ჩვენდამი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელექტროსადგურების მაშინდელი მინისტრი, ამჟამად რუმინეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი გასტონ მარინი. ამ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობდით ყველგან — ჩვენს საშუალო უბანზე, ხელმძღვანელ მეშაკეებთან შეხვედრის დროს, ტექნიკურ კონფერენციებსა თუ თათბირებზე. ქუჩაში სეირნობის დროს თუ შემთხვევით შეხვედრილ რიგით ადამიანებთან საუბრებში. ეს სიყვარული და სითბო აღგვაფრთოვანებდა და ენერგიას გვმატებდა ჩვენს საქმიანობაში. ამიტომაც იყო, რომ ქართველი სპეციალისტები ენერგიას არ ვზოგავდით, თავდადებით ვმუშაობდით, ვცდილობდით რაც შეიძლება მეტი საქმე გაგვაკეთებინა და მეტი სარგებლობა მოგვეტანა მოძმე რუმინელი ხალხისათვის.

რუმინეთში თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ჩვენს მშობლიურ საქართველოში ვყოფილიყავით. აქ ალბათ გავლენას ახდენდა ის დიდი მსგავსება საქართველოსა და რუმინეთის ბუნებაში, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში, სტუმართმოყვარეობასა და ადათ-წესებში, რასაც ყველგან ვხედავდით ქალაქად თუ სოფლად.

სადაც უნდა იყოთ რუმინეთში, — ქალაქად თუ სოფლად, ყველგან იგრძნობა სოციალისტური მშენებლობის მძლავრი მაჯისცემა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუმინელმა ხალხმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა სახალხო მეურნეობის განვითარების ორი ხუთწლიანი გეგმა. სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციამ 1960 წელს ხუთჯერ გადააჭარბა 1938 წლის დონეს. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები; რუმინეთის ახალმა საწარმოებმა დაიწყეს ნავთობის, სამთამადნო და ენერგეტიკული მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის გამოშვება, აშენდა სატრაქტორო, საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები და სხვ. ვადაზე ადრე შესრულდა ელექტროფიკაციის ათწლიანი გეგმა. განხორციელდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, მოსპობილია ექსპლოატატორული კლასი — კულაკობა. ახლა რუმინეთის სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორი მნიშვნელოვნად სჭარბობს კერძო სექტორს როგორც სათესი მიწების ფართობით, ისე სასაქონლო პროდუქციის მოცულობით. ამ გარდაქმნათა საფუძველზე დიდად გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების დონე და მატერიალური კეთილდღეობა. რუმინეთის ქალაქები და სოფლები ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია, ფაბრიკებისა და ქარხნების გვერდით შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები და სხვ.

ხარობს რუმინელი ხალხი სოციალისტური მონაპოვრით და მასთან ერთად ვხარობთ ჩვენც, მისი ქართველი ძმები და მეგობრები.

პ. წულუკიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობის ნოტა ინგლისის მთავრობისადმი

8 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. დეკანი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხის შესახებ, რომელიც პასუხია დიდი ბრიტანეთის მთავრობის ამავ წლის 17 ივლისის ნოტისა.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა დასავლეთის სხვა სახელმწიფოებთან ერთად ეძებე მრავალი წლის მანძილზე არაფერს თავს გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებას, და გაურკვეველი მომავლისათვის გადაიქცა იგი. დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც არ შემოაქვს თავისი კონსტრუქციული წინადადებანი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საფრანგეთთან ერთად ყოველთვის უარყოფდა საბჭოთა კავშირის წინადადებებს საზავო ხელშეკრულების მომზადების შესახებ.

ინგლისის ნოტის ტექსტიდან ჩანს, როგორც აღნიშნულია სსრ კავშირის ნოტაში, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას უმთავრესად აწუხებს ის, თუ როგორ დაიცვას თავისი პოლიტიკა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე და შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ბასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მეორე მსოფლიო ომის შედეგები, რომ ევროპის ცენტრში არ არის სტაბილურობა და საერთაშორისო მართლწესრიგი, ხოლო დასავლეთ გერმანიაში კვლავ ძლიერდებიან მილიტარისტები და რევანშისტები.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში აღნიშნავს, რომ დასავლეთი გერმანია ომის საფრთხის კერა ხდება ევროპაში. დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა მასობრივი არმია ყოფილი ჰიტლერული გენერლებისა და ოფიცრების მეთაურობით. ნატოს მონაწილეთა შორის დასავლეთ გერმანიას ევროპის კონტინენტზე ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ყავს. დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეები „ისწრაფვიან ხელში ჩაიგდონ მასობრივი მოსპობის იარაღი. უკვე ამჟამად, მშვიდობიან დროს ბუნდესვერმა თავის განკარგულებაში მიიღო სამხედრო დასაყრდენი პუნქტების ქსელი დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მათ შორის საფრანგეთის მიწა-წყალზე, რომლის ხალხმაც შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში სამჯერ განიცადა გამანადგურებელი შემოსევა გერმანელი აგრესორებისა.

ფაქტები გვიჩვენებენ, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის ნოტაში, რომ კაპიტულაციის შემდეგ გასული 16 წლის მანძილზე გერმანელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით მეტად მიაღწიეს დასავლეთ გერმანიაში, ვიდრე მათმა წინამორბედებმა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 16 წლის მანძილზე.

საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს, რომ მას, ახსოვს რა გამანადგურებელი შემოსევა ჰიტლერელთა ურდოებისა, არ შეუძლია გვერდი აუაროს იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში კვლავ მთელი ძალით წარმოებს მზადება „აღმოსავლეთისაკენ გალაშქრებისათვის“.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს. საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის აღმოფხვრას უთანხმოება, გერმანიის საკითხში, აღადგინოს თანამშრომლობის ურთიერთობა საფრანგეთთან მშვიდობის საკეთილდღეოდ. სსრ კავშირის მთავრობა დარწმუნებულია, რომ, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები კეთილ ნებასა და თანამშრომლობის სურვილს გამოიჩენენ, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების გზაზე აღარ იქნება დაუძლეველი სიძნელეები.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილ პირობებში საუკეთესო გადაჭრა იქნება დაიდოს საზავო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, გერმანიასთან ომის მდგომარეობაში ნამყოფი ყველა სახელმწიფოს, და მეორე მხრივ, ორივე გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობით. სსრ კავშირის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია გერმანის საზავო ხელშეკრულების საკითხის ისეთი გადაჭრაც, როცა დაიდება ორი საზავო ხელშეკრულება — ერთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ხოლო მეორე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისე რომ ორივე ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი ერთნაირი იყოს. თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობამ უარი თქვეს ხელი მოაწერონ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას, საჭირო გახდება ასეთი ხელშეკრულება დაიდოს უმათოდ. ამ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულება დაიდება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ამას მოისურვებენ და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ძორის, რომელმაც უკვე გამოთქვა ამის თანხმობა.

საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების დადების დიდ დადებით მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ვერც საფრანგეთი, ვერც რომელიმე სხვა სახელმწიფო ვერ დააიდებს ვეტოს საზავო ხელშეკრულების გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ამასთან სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ მშვიდობიან მოწესრიგებაში მონაწილეობაზე უარისთქმით საფრანგეთის მთავრობა თვითონ ჩაიყენებს თავს იმუთ მდგომარეობაში, როცა დასავლეთ ბერლინის საკითხი, თუ არ იქნება თანხმობა დასავლეთის სახელმწიფოებთან გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ გადაწყდება უმისოდ მთელი აქედან გამომდინარე შედეგებით დასავლეთის სახელმწიფოთა ფულებებისათვის, რომელებსაც საფუძველად უდევს გერმანიის კაპიტულაცია.

სსრ კავშირის მთავრობა თავის ნოტაში უარყოფს მუქარის ენას საბჭოთა კავშირის მიმართ. საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს არა საბჭოთა კავშირის მოქმედებამ, არამედ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედებამ. მაგრამ თუ ეს სახელმწიფოები ასეთ მოქმედებას განახორციელებენ, ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ ამისათვის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მათ დაეკისრებათ. საბჭოთა კავშირი კი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები შეძლებენ დაიცვან მართალი საქმე, თავიანთი უშიშროება, მშვიდობა.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები გადასინჯავენ თავიანთ უარყოფით პოზიციას და ამით აღმოფხვრიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაბრკოლებებს ყველა იმ სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელნიც შეიიარღნენ ანტიჰიტლერულ კოალიციაში, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მზად არის გულდასმით განიხილოს ყოველი წინადადება, რომელიც კი შეიძლება წამოაყენოს საფრანგეთის მთავრობამ და რომელიც იქნება გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხის შეუყოვნებლივ გადაჭრის ამოცანის შესაბამისი.

საბჭოთა მთავრობა, ხაზგასმულია ნოტაში, ესწრაფვის მშვიდობას, იგი სწორედ ამიტომ მოითხოვს მტკიცედ, რომ ნაღვ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი

8 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. დეკანი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის საზავო ხელშეკრულებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის საკითხის შესახებ, რომელიც პასუხია საფრანგეთის მთავრობის 17 ივლისის ნოტისა.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ნოტაში, საბჭოთა კავშირის იმ მოწოდების პასუხად, რომ ერთად მოპკოდონ ხელი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და მწვავე საკითხის გადაჭრას — გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებას — საფრანგეთის მთავრობა დასჯერდა წინანდელი პოზიციის ჩამოყალიბებას, რომელიც მეტად დაშორებულია ნამდვილ ზრუნვას მშვიდობისათვის, კერძოდ მშვიდობისათვის ევროპაში. ბრავალი წლის მანძილზე საფრანგეთი თავს არიდებს გერმანიასთან მშვიდობიან მოწესრიგებას, ცდილობს გადადოს იგი გაურკვეველი მომავლისათვის. საფრანგეთის ნოტა გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის მთავრობა, როგორც ჩანს, ამჯობინებს კვლავაც დაიცვას ეს ბაზი.

საბჭოთა მთავრობა მოაგონებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უარყოფდნენ საბჭოთა კავშირის წინადადებებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ამომზადების შესახებ. თავის ბრივ საფრანგეთის მთავრობას 16 წლის მანძილზე ერთხელ არ წამოუყენებია წინადადება დაეწყოთ საზავო ხელშეკრულების ჭიმზადება და თავსაც კი აროდესაც იმაზე, რომ გამოეთქვა აზრი იმის შესახებ, თუ მისი აზრით, რა დებულებანი უნდა ჰქონოდეს საზავო ხელშეკრულებაში.

საბჭოთა კავშირი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მეზობლად მთელი მსოფლიოს დასანახავად დასავლეთ გერმანია ომის საფრთხის კერა ხდება, და თავის ნოტაში აბრალებს, რომ უკვე ამჟამად ნატოს მონაწილეთა შორის დასავლეთ გერმანიას ევროპის კონტინენტზე ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ყავს. დასავლეთ გერმანიის საბჭედრო წრეები ისწრაფვიან ხელში ჩაიგდონ მასობრივი მოსპობის იარაღი. უკვე ამჟამად, მშვიდობიან დროს ბუნდესვერმა თავის განკარგულებაში მიიღო სამხედრო დასაყრდენი პუნქტების ქსელი დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მათ შორის საფრანგეთის მიწა-წყალზე, რომლის ხალხმაც შედარებით მოკლე ისტორიულ ვადაში სამჯერ განიცადა გამანადგურებელი შემოსევა გერმანელი აგრესორებისა.

ფაქტები გვიჩვენებენ, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის ნოტაში, რომ კაპიტულაციის შემდეგ გასული 16 წლის მანძილზე გერმანელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით მეტად მიაღწიეს დასავლეთ გერმანიაში, ვიდრე მათმა წინამორბედებმა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 16 წლის მანძილზე.

საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს, რომ მას, ახსოვს რა გამანადგურებელი შემოსევა ჰიტლერელთა ურდოებისა, არ შეუძლია გვერდი აუაროს იმას, რომ დასავლეთ გერმანიაში კვლავ მთელი ძალით წარმოებს მზადება „აღმოსავლეთისაკენ გალაშქრებისათვის“.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულება უნდა დაიდოს. საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის აღმოფხვრას უთანხმოება, გერმანიის საკითხში, აღადგინოს თანამშრომლობის ურთიერთობა საფრანგეთთან მშვიდობის საკეთილდღეოდ. სსრ კავშირის მთავრობა დარწმუნებულია, რომ, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები კეთილ ნებასა და თანამშრომლობის სურვილს გამოიჩენენ, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების გზაზე აღარ იქნება დაუძლეველი სიძნელეები.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილ პირობებში საუკეთესო გადაჭრა იქნება დაიდოს საზავო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, გერმანიასთან ომის მდგომარეობაში ნამყოფი ყველა სახელმწიფოს, და მეორე მხრივ, ორივე გერმანული სახელმწიფოს მონაწილეობით. სსრ კავშირის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია გერმანის საზავო ხელშეკრულების საკითხის ისეთი გადაჭრაც, როცა დაიდება ორი საზავო ხელშეკრულება — ერთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ხოლო მეორე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისე რომ ორივე ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი ერთნაირი იყოს. თუ დასავლეთის სახელმწიფოებმა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობამ უარი თქვეს ხელი მოაწერონ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას, საჭირო გახდება ასეთი ხელშეკრულება დაიდოს უმათოდ. ამ შემთხვევაში საზავო ხელშეკრულება დაიდება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მონაწილე იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ამას მოისურვებენ და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ძორის, რომელმაც უკვე გამოთქვა ამის თანხმობა.

საბჭოთა მთავრობა ეხება სამხედრო პერსონალის პროპაგანდისტულ საქმიანობას სამოქალაქო მოსახლეობაში. მემორანდუმის ავტორი მიზნად ისახავს „მიუთითოს საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია სამხედროების პროპაგანდისტულ საქმიანობასთან. გამიზნულია სამოქალაქო მოსახლეობისათვის, და შესთავაზოს ღონისძიებანი, რათა თავი გაართვან ამ პრობლემებს“.

შეერთებული შტატებისათვის მთავარი საფრთხეა, თუ ერთადერთი არა, აღნიშნავს ფულბრაიტი, მათი აზრით, „საშინაო კომუნისტური შეღწევა. ამით ხშირად აიხსნება წარსული და ახლანდელი საერთაშორისო სიძნელეები“.

ფულბრაიტი შეძრწუნებულია იმით, რომ სამხედროები მიმყვებიან განსვენებული მაკართისა და ამერიკელი ნეოფაშისტების კვალს და სოციალურ კანონმდებლობას აიგებენ სოციალიზმთან და კომუნიზმთანაც კი. „მთავრობის შინაური საკანონმდებლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი, — ნათქვამია მემორანდუმში, —მათ შორის საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული გადახდევინება, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაფართოება (კერძოდ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ჩარჩოებში), ფედერალური დახმარება განათლების საქმისათვის და სხვ. ამ ფილოსოფიის მიხედვით დახასიათებულ იქნება როგორც ნაბიჯები კომუნიზმის მიმართულებით.

ეს შეხედულება კომუნისტურ საფრთხეზე საბაბს იძლევა დავსახოთ უცხოეთის დახმარება, გაიცალ კულტურის დარგში, მოლაპარაკება განიარაღების შესახებ და სხვა საერთაშორისო პრობლემები, სულ მცირე შეფასებაც კი, როგორც სრულიად უსაგებლო, თუ ძირგამომთხრელი არა“.

„თუ სამხედროები დასნებოვნებული არიან უკიდურესი მემარჯვენე რადიკალიზმის ვირუსით, — აღნიშნულია შემდეგ მემორანდუმში, — საფრთხე ყურადღების ღირსია, თუ სამოქალაქო მოსახლეობის „წვრთნის“ პროცესში სამხედრო ციებუხელება... ძლიერდება, საფრთხე განსაკუთრებით სერიოზული ხდება“.

მემორანდუმის დასასრულს ფულბრაიტი მოუწოდებს თვით სახლსა და თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი სამოქალაქო კონტროლი დაიწესონ სამხედრო პერსონალის პროპაგანდისტული საქმიანობისაღმი.

ერთგულ ფლიბლიოთეკა

რუმინეთი. ჩესმეჯუს პარკში.

სენატორი ფულბრაიტი განგაშს ტეხს

ვაშინგტონი, 4 აგვისტო. (საკდესი). კორესპონდენტი **ვ. ვაშენჩენკო** იუწყება: ამერიკის კონგრესში სკანდალი მოხდა. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავჯდომარემ ფულბრაიტმა, რომელიც შეფოთებულია ამერიკის ახედრიონის მზარი როლით ცივი ომის გაღვივებაში, დაუწია საიდეალო მემორანდუმი და გაუგზავნა უმაღლეს ინსტანციებს. პენტაგონს ეს არ მოეწონა, და საიდუმლო გადმემორანდუმის მინაარსი ცხობილი გახდა განსაკუთრებული ნდობით აღქურვილი ჟურნალისტებისათვის, ხოლო მათ მეშვეობით ყველა დანარჩენისათვის.

სენატში ფულბრაიტის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა მოითხოვეს ახსნა-განმარტება, და ფულბრაიტს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ საჯაროდ გამოექვეყნებინა თავისი მემორანდუმი.

მემორანდუმი ეხება სამხედრო პერსონალის პროპაგანდისტულ საქმიანობას სამოქალაქო მოსახლეობაში. მემორანდუმის ავტორი მიზნად ისახავს „მიუთითოს საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია სამხედროების პროპაგანდისტულ საქმიანობასთან. გამიზნულია სამოქალაქო მოსახლეობისათვის, და შესთავაზოს ღონისძიებანი, რათა თავი გაართვან ამ პრობლემებს“.

შეერთებული შტატებისათვის მთავარი საფრთხეა, თუ ერთადერთი არა, აღნიშნავს ფულბრაიტი, მათი აზრით, „საშინაო კომუნისტური შეღწევა. ამით ხშირად აიხსნება წარსული და ახლანდელი საერთაშორისო სიძნელეები“.

ფულბრაიტი შეძრწუნებულია იმით, რომ სამხედროები მიმყვებიან განსვენებული მაკართისა და ამერიკელი ნეოფაშისტების კვალს და სოციალურ კანონმდებლობას აიგებენ სოციალიზმთან და კომუნიზმთანაც კი. „მთავრობის შინაური საკანონმდებლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი, — ნათქვამია მემორანდუმში, —მათ შორის საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული გადახდევინება, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაფართოება (კერძოდ, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ჩარჩოებში),

დიდებული გეგმა

საირუს იტონის განცხადება

ბალტიმორი, 6 აგვისტო. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტის თხოვნით, ცნობილმა ამერიკელმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა საირუს იტონმა საბჭოთა პრესისათვის გააკეთა შემდეგი განცხადება: „ახალი საბჭოთა ეკონომიური გეგმა თავისი გაკანონებით და მიზნებით ერთ-ერთი დიდებული გეგმაა. მას მოაქვს პროგრესი, რომელიც აღმოფრთოვანებს საბჭოთა კავშირის ხალხებს განსახორციელონ ყველაზე საუკეთესო ადამიანთა საქმიანობის ყველა დარგში.

დაახლოებით ორი მილიარდი წელია, რაც დედამიწაზე სიცოცხლე არსებობს. მისი პროგრესი ნელი იყო. დღეიდან იგი უფრო სწრაფი გახდება. თუმცა მე სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ სისტემას ვეკუთვნი, ვიდრე საბჭოთა კავშირი, სავსებით ვალიარებ თქვენი ვრცელი ქვეყნის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს.

იური გაგარინის შესანიშნავი მიღწევა და თქვენი მეცნიერების ბრწყინვალე მუშაობა თქვენი ქვეყნის პროგრესის დადასტურებაა პრაქტიკულ საქმეებში. როგორც კაპიტალისტს, მე მსურს, ჩემმა ქვეყანამ დაიკავოს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოზიციები, რაც უზრუნველყოფს მთელი მსოფლიოს აყვავებასა და მშვიდობას.

მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობას იღებს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნება საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემები, მათ შორის გერმანიის საკითხი.

პრესის მიმომხილველები გამოთქვამენ აზრს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების პარიზის მოლაპარაკება დაკავშირებულია დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირის მოამზადებასთან.

გზად კანადისაკენ

ჰავანა, 4 აგვისტო (საკდესი). ჰავანაში დაეშვა თვითმფრინავი „ილ-18“, რომელშიც არის საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი. იგი ბრაზილიიდან კანადაში მიემგზავრება.

ჰავანის აეროდრომზე ი. გაგარინს შეხვდნენ კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა და კუბის მთავრობის სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კუბაში ს. მ. კუდრიავცევი. კუბის დედაქალაქში ხანმოკლე შესვენების შემდეგ გაგარინი განაგრძობს გზას კანადისაკენ, სადაც იგი იქნება ცნობილი ამერიკელი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის საირუს იტონის სტუმარი.

რუმინული იუმორი



ზენორმატული მარაგის მოუყვარული.

ნახ. ჩიკ. დამადიანისა.



ახალი პოლიტიკური პარტია კანადაში

ოტავა, 4 აგვისტო (საკდესი). აქ მიმდინარეობს ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას ოფიციალურად ეწოდოს კანადის ახალი დემოკრატიული პარტია. პარტია იქმნება კანადის პროფკავშირთა კონგრესისა და კანადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავშირის საფუძველზე. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ახალი პარტია უნდა გახდეს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის კანადური ვარიანტი.

გუშინდელ სხდომაზე პარტიის ლიდერად აირჩიეს ტომას დუგლასი.

„ციხეერ სარგიელზე“

ვაშინგტონი, 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი მრჩეველთა დიდი ჯგუფის თანხლებით პარიზს გაფრინდა, რათა მონაწილეობა მიიღოს შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში, რომელიც 5 აგვისტოს იწყება. თათბირი განიხილავს დასავლეთის სახელმწიფოთა ერთობლივ ღონისძიებებს, როგორც პასუხს საბჭოთა კავშირის წინადადებაზე გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ.

რასკი პარიზში მიემგზავრება, რათა აიძულოს ნატელი მოკავშირეები იკისრონ გამალებული შეიარაღების დამატებითი ტვირთი და ნატოს გადასცენ ახალი დივიზიები დასავლეთ ევროპაში. შეეთებული შტატები დაჟინებით მოითხოვენ ამ ღონისძიებებს ხელოვნურად შექმნილი „ბერლინის კრიზისის“ საბაბით.

როგორც გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში უოტმა, პარიზში, გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხების გარდა, ალბათ განიხილავენ ლაოსისა და სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობას და სხვა საკითხებს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის საზაფხულო საცურავ აუზში დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებას, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ამართება ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ, უწოდებენ არაოფიციალურ მსოფლიო პირველობას.

ტურნირში გამოდის 6 უძლიერესი კოლექტივი. ესენი არიან — სსრ კავშირის, იტალიის, უნგრეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. წყალბურთელები იბრძვიან პრიზისათვის — „იტალიის თასისათვის“, რომელიც გასულ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

გუშინ საცურავი აუზის „ციხეერ სარბიელზე“ პირველად ერთმანეთს შეხვდნენ XVII ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი იტალიის გუნდი და სსრ კავშირის წყალბურთელთა კოლექტივი.

დასაწყისშივე (29-ე წამი) ანგარიში იტალიელებმა გახსნეს, მაგრამ მალე კარტაშოვმა საპასუხო გოლი გაიტანა. 1:1 — ასეთი შედეგით დამთავრდა პირველი პერიოდი. ეს ანგარიში აოც მეორე პერიოდში შეიცვალა, მაგრამ ორ გადაწყვეტ პერიოდში კურენოიმ და მშვენიერაძემ დამატებით 3 ბურთი გაიტანეს. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა 4:1.

რუმინეთისა და უნგრეთის გუნდების მატჩის შედეგია 2:4, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის გუნდებისა — 2:3.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“

შეხვედრა აუტსაიდერთან

ᲒᲣᲨᲘᲜ ვილნიუსში ადგილობრივი „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივებმა გამართეს საკავშირო ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის უკანასკნელისწინა მე-19 მატჩი.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს. 36-ე წუთზე ბურთი გაიტანა დათუნაშვილმა. მალე ბარქაიამ კარგი კომბინაცია გოლით დაგვირგვინა. ტაიმის შედეგი იყო 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ჯერ მესხმა, შემდეგ მესხის მიწოდებით დათუნაშვილმა და ბოლოს კვლავ მესხმა სამი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 5:0.

თბილისელთა რიგებში იყვნენ: ქოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოკოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალევი, იამანიძე, მესხი.

„Ბ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐ

ᲤᲠᲣᲜᲖᲘᲨᲘ ადგილობრივი „ალგასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგაშრით 2:0.

ᲚᲘᲔᲞᲐᲘᲐᲨᲘ ბათუმის „დინამოსა“ და ლიეპაიას „სელმაშის“ გუნდების მატჩში ფიქსირებულ იქნა ფრე — 0:0.

საკავშირო ჩემპიონატის მატჩები

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა „ა“ კლასის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ პირველი ქვეჯგუფის ლიდერმა დედაქალაქის „ტორპედომ“ დაამარცხა სტალინოს „შახტიორი“ ანგარიშით 1:0.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ადგილობრივი „ადმირალტეეცისა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდების მატჩის შედეგია ფრე — 2:2.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ ვორონეჟის „ტრუდი“ დაამარცხა ხარკოვის „ავანგარდმა“ ანგარიშით 2:0.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და ერევნის „სპარტაკის“ გუნდები. გაიმარჯვეს ერევნელებმა 3:2.

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ მეორე ქვეჯგუფის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი კიევის „დინამო“ თამაშობდა ტაშკენტის „პახტაკორის“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 3:1.

ᲗᲐᲚᲘᲜᲨᲘ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ტალინის „კალევის“ გუნდების მატჩის შედეგია ფრე 2:2.

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲨᲘ ადგილობრივი „მოლდოვა“ შეხვდა ალმა-ატის „კაირატის“. გაიმარჯვეს კიშინიოველებმა 1:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 6 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ).	18	14	1	3	45:19	29
„ავანგარდი“ (ხ).	19	10	6	3	21:13	26
„ლოკომოტ“. (მ.)	18	9	6	3	34:22	24
„დინამო“ (თბ.)	19	9	5	5	33:22	23
სპა (რიგა.)	17	9	3	5	37:17	21
„შახტიორი“ (სტ.)	19	6	5	8	18:21	17
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	19	4	8	7	20:31	16
„ტრუდი“ (ვორ.)	20	5	5	10	24:31	15
„ადმირალტ.“ (ლ.)	19	5	4	10	21:29	14
„დაუგავა“ (რიგა)	19	3	6	10	20:39	12
„სპარტაკი“ (ვილ.)	19	2	5	12	16:45	9

მეორე ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	19	13	3	3	54:25	29
„დინამო“ (კ.)	19	11	5	3	36:18	27
„სპარტაკი“ (მ.)	19	9	5	5	35:20	23
„პახტაკორი“ (ტ.)	20	9	5	6	30:33	23
„დინამო“ (მ.)	19	8	5	6	33:27	21
„სპარტაკი“ (ერ.)	19	7	7	5	26:26	21
„კაირატი“ (ალ-ატა)	19	6	5	8	22:27	17
„მოლდოვა“ (კიშ.)	19	6	4	9	30:35	16
„ზენიტი“ (ლ.)	19	5	5	9	23:34	15
„ბელარუსი“ (მინ.)	19	3	5	11	15:31	11
„კალევი“ (ტალ.)	19	0	7	12	13:41	7

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

6 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — ლატვრნა მაგიკა (დასაწყისი დღის 1 ს. და საღამოს 8 ს. 30 წ.), ფილარმონიის ღია ეიტარადა — ტრიო ლოს პანჩოს (დასაწყისი საღამოს 9 ს.).

ტელევიზია. 12.00 —